პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა [1]
პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება:
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
Political Science Bachelor of Arts Program

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
Bachelor of Arts in Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელები:
სრული პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე
სრული პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად პოლიტიკის მეცნიერების, ისე პოლიტიკის მეცნიერების ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორიის, შედარებითი პოლიტიკის, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების, მსოფლიო პოლიტიკის, პოლიტიკური კულტურა/კომუნიკაციების, პოლიტიკური მეთოდოლოგიის) ესახებ, ასევე უზრუნველყოფს საბაკალავრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი უნარ-ჩვევებით, რაც მას საბოლოოდ ხარისხიანი საბაკალავრო ნაშრომის წერაში ეხმარება.

პოლიტიკის მეცნიერების სწავლების მიზნები ბაკალავრიატში მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სტუდენტებმა მიიღონ საფუძვლიანი თეორიული მომზადება პოლიტიკურ მეცნიერებაში; ასწავლოს კრიტიკული აზროვნება; უზრუნველყოს პროფესიული კარიერის

---

[1] პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანებით. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ემერიტუს-პროფესორი, დიდი ბრიტანეთი), სტივენ არისი, (კარლეტონის უნივერსიტეტის პროფესორი, კანადა) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკის დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკის მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკის მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით; ასწავლოს შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტები. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიცირებული კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა როგორც პოლიტიკის მეცნიერებაში, ასევე მის ცალკეულ სუბდისციპლინებში, კვლევითი პრობლემის გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, რათა შეძლონ აღნიშნული ცოდნის გამოყენება კონკრეტული პრობლემების გასაანალიზებლად.

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიატის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისთვის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში და სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. ბაკალავრის ხარისხის მიღების შედეგად ბაკალავრს პოლიტიკურ მეცნიერებაში შეუძლია: ჩაერთოს დარგის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე. მას ექნება აუცილებელი ცოდნა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებში ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში მუშაობისთვის როგორც დამხმარე პერსონალს ან ასისტენტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგები.

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი ფლობს პოლიტიკის მეცნიერების ცნებით-კატეგორიულ აპარატსა და მეთოდოლოგიას, იცნობს დარგის განვითარების ისტორიას პოლიტიკის მეცნიერების კლასიკური ნაშრომების შესწავლის საფუძველზე და ერკვევა პოლიტიკური მეცნიერების დღევანდელ სტრუქტურაში, შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების სუბ-დისციპლინებისა და მათი შესწავლის ობიექტების იდენტიფიცირება; იცის პოლიტიკის მეცნიერების ადგილი და ერკვევა პოლიტიკის მეცნიერების კავშირში სხვა სოციალურ მეცნიერებებთან; აქვს წარმოდგენა პოლიტიკის მეცნიერების ძირითად თეორიული პარადიგმებზე, თეორიებზე, კონცეფციებსა და მოდელებზე და შეუძლია მათი ინტერპრეტაცია, იცის რაოდენობრივი, თვისებრივი და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული კვლევის ჩარჩოები, იცნობს და ერკვევა ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებსა და სტანდარტებში, შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** შეუძლია მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე პოლიტიკური სისტემებისა და პროცესების ფუნდამენტურ, ემპირიულ და გამოყენებით დონეზე ინტერპრეტაცია და ანალიზი, რაც მას საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ჩაერთოს კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტებში როგორც დამხმარე პერსონალი.
- **დასკვნის უნარი:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს უნარი განსაზღვროს და საფუძვლიანად შეისწავლოს პოლიტიკის მეცნიერებების პრობლემატური საკითხები, შეაგროვოს და სიტემატიზაციაში მოიყვანოს მეორადი მონაცემები და შერჩეული თეორიული ჩარჩოსა და მოდელის საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები.
- **კომუნიკაციის უნარი:** საბაკალავრო სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური ნაშრომების შესრულებისა და მათი პრეზენტაციის გამოცდილების შედეგად პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, სასემინარო მუშაობის ფორმატი კი მას უვითარებს საჯარო დისკუსიებსა და განხილვებში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს. სწავლების პროცესში გამოყენებული ელექტრონული მხარდაჭერის სისტემით სარგებლობა, მას აძლევს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაღალ დონეზე ფლობის კომპეტენციასა და შემდგომში აქტიურად გამოყენების საშულებას.
- **სწავლის უნარი:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს საბაზისო თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნა სწავლის შემდომ საფეხურზე გასაგრძელებლად, ასევე საბაკალავრო სწავლების დროს მიღებული გამოცდილება აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად იმუშაოს თვითგანვითარებასა და მეტი ცოდნის შეძენეზე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

- **ღირებულებები:** პოლიტიკის მეცნიერების სფეროში დაგროვილი ცოდნა სტუდენტს უყალიბებს წარმოდგენას სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, ტოლერანტობის, დემოკრატიის და სხვა ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ. რაც მას აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

შედეგების რუქა: იხ.დანართი

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით)
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი
5. დისკუსია/დებატები,
6. ჯგუფური მუშაობა
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
8. შემთხვევის ანალიზი (case-study)
9. გონებრივი იერიში (Brain storming)
10. როლური და სიტუაციური თამაშები
11. ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად პოლიტიკის მეციერებაში სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც გულისხმობს 40 კრედიტის მოცულობის საფაკულტეტო სასწავლო კურსების გავლას; 110 კრედიტის დაგროვებას პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი სასწავლო კურსების საფუძველზე: საბაკალვრო ნაშრომის შესრულებას პოლიტიკის მეცნიერებაში, რომლის მოცულობა 10 კრედიტითაა განსაზღვრული. 60 კრედიტის დაგროვებას დამატებითი სპეციალობის ან სხვა სასწავლო კომპონენტების საფუძველზე; 20 კრედიტის მოცულობის თავისუფალი კრედიტების აღებას.

შესაბამისად, პოლიტიკის მეცნიერებების სასწავლო გეგმაში კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საფაკულტეტო სასწავლო კურსები - 4 საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსი (20 კრედიტი, მათ შორის ინგლისური ენა 10 კრედიტის მოცულობით); - 1 საფაკულტეტო არჩევითი კურსი (5 კრედიტი) - 4 შესავალი საფაკულტეტო შესავალი კურსი (15 კრედიტი)- პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასკნელი მათ ეთვლებათ პოლიტიკის მეცნიერებების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში.	**40 კრედიტი**
პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი სასწავლო კურსები - შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში: 5 კრედიტი - პოლიტიკის მეცნიერების სავალდებულო სასწავლო კურსები: 30 კრედიტი - თემატური კონცენტრაციების არჩევითი კურსები: 75 კრედიტი	**110 კრედიტი**
საბაკალავრო ნაშრომი პოლიტიკის მეცნიერებაში	**10 კრედიტი**
დამატებითი სპეციალობის ან სხვა სასწავლო კომპონენტების კრედიტები	**60 კრედიტი**
თავისუფალი კრედიტები	**20 კრედიტი**
სულ	**240 კრედიტი**

საფაკულტეტო სასწავლო კურსები

საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში გულისხმობს 40 კრედიტის მოცულობის საფაკულტეტო სასწავლო კურსების გავლას. აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს 20 კრედიტის დაგროვებას საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსების აღების საფუძველზე. მათ შორისაა ინგლისური ენა 10 კრედიტის მოცულობით; ერთი საფაკულტეტო არჩევითი კურსის აღებას; პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სტუდენტებს ასევე ევალებათ 4 საფაკულტეტო შესავალი, მათ შორის, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასკნელი მათ ეთვლებათ პოლიტიკის მეცნიერებების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში.

პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი სასწავლო კურსები:

საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი საბაკალავრო კურიკულუმიდან, რომელიც აგრეთვე მოიცავს 10 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო ნაშრომის დაცვას. საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში შედგება I და II დონის სავალდებულო და III, ზედა დონის არჩევითი კურსებისგან. პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული საგანი ხუთკრედიტიანია და გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. ეს საგნები (სულ 26 საგანი) სწავლების სირთულის მიხედვით დაყოფილია I, II და III დონის საგნებად. პირველი დონის სწავლება გულისხმობს შესავალი კურსის გავლას პოლიტიკის მეცნიერებაში. სწავლების II დონის ფარგლებში შეთავაზებულია 6 სავალდებულო კურსი. III დონის სწავლება გულისხმობს არჩევითი საგნების შეთავაზებას თემატური კონცენტრაციების სახით წარმოდგენილი არჩევითი საგნების საფუძველზე. აღნიშნული საგნები პოლიტიკის მეცნიერების სუბდისციპლინების მიხედვითაა დაყოფილი. ასეთი სულ 6 თემატური კონცენტრაციაა (პოლიტიკური თეორია, შედარებითი პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება, რეგიონების და ქვეყნების პოლიტიკა, პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები და მომზადება კვლევისთვის), რომელშიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს 75 კრედიტი, ანუ აირჩიოს 15 საგანი. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომლის მოცულობაც 10 კრედიტით განისაზღვრება, სავალდებულოა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმაღლესი

განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი არ სპეციალიზდება რომელიმე კონცეტრაციის მიხედვით. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერების ყველა სუბ-დისციპლინაში სტუდენტისთვის ზოგადი ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი მოთხოვნაა.

დამატებითი სპეციალობის ან სხვა სასწავლო კომპონენტების კრედიტები:
გამომდინარე იქიდან, რომ დამატებითი სპეციალობის აღება ნებაყოფლობითია, სტუდენტს შეუძლია უარი თქვას მასზე და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტები მისთვის სასურველი ნებისმიერი სასწავლო კომპონენტების საფუძველზე დააგროვოს.

თავისუფალი კრედიტები - თავისუფალი კრედიტების მოცულობა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო კურიკულუმში გაისაზღვრება 20 კრედიტით.

სასწავლო გეგმა წარმოდგენილია დანართში # 2.2.

დასაქმების სფეროები: პოლიტიკის მეცნიერების საბაკალარო პროგრამის კურსდამთავრებულის როგორც დამხმარე სპეციალისტის დასქმების პოტენციური სფერო შეიძლება იყოს

- საჯარო დაწესებულებები
- არასამთავრობო სექტორი
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- კერძო სექტორი
- მასმედია

დამატებითი ინფორმაცია: პოლიტიკის მეცნიერების საბკალავრო პროგრამაზე სწავლის დაწყება არ უნდა ხდებოდეს სწავლების მეხუთე სემესტრზე გვიან. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდნეტს მოუწევს დამატებითი სემესტრის გავლა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესასრულებლად. პოლიტიკის მეცნიერების როგორც სწავლების ძირითადი სპეციალობის არჩევისას სასურველია დამატებითი სპეციალობის სახით კომბინირება მოხდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა შემდეგ სპეციალობებთან: სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ჟურნალისტიკა, სოციალური მუშაკი და სხვა. ასევე შესაძლებელია კომბინირება თსუ სხვა ფაკულტეტიების, განსაკუთრებით კი ეკომომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამატებითი სპეციალობის პროგრამებთან. მსგავსი კომბინაცია იძლევა პოლიტიკის მეცნიერების თვალსაწიერის გაფართოებისა და შემდგომში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის საშუალებას.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას შეუძლია მოემსახუროს ძირითადი სპეციალობის 200 და მეორადი სპეციალობის 250 სტუდენტს. ამჟამად პროგრამა უმაღლესი განათლების სწავლების პირველ საფეხურზე დაახლოებით ამ რაოდენობის სტუდენტების მომსახურეობითაა დაკავებული.

სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები): იხ.დანართი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

	გვარი, სახელი,	**აკადემიური**	**ხარისხი**

		თანამდებობა	
პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი			
	მაცაბერიძე მალხაზ	სრული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	კუხიანიძე ალექსანდრე	სრული პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	კაკაჩია კორნელი	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	მაჭარაშვილი ნანა	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	ჟორჟოლიანი გია	ასოცირებული პროფესორი	ისტორიის მეცნიერების დოქტორი
	აბაშიძე ზვიად	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	დოლიძე ვალერიან	ასისტენტ-პროფესორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	თურმანიძე კობა	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ტუკვაძე ავთანდილ	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	ქარაია თამარ	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	წურწუმია ალექსანდრე	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
სადოქტორო პროგრამის სტუდენტები (სასწავლო პრაქტიკა)			
	თეთრაძე ლიკა	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	დარბაიძე ეკატერინე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	წურწუმია მაია	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ლებანიძე სოსო	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ნოზაძე თორნიკე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
მოწვეული პერსონალი			
	ბასილაია ეკატერინე	მოწვეული პერსონალი	მედია კომუნიკაციების მაგისტრი, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მკვლევარი

	ელენე გელაშვილი	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი, თსუ
	მაია მანჩხაშვილი	მოწვეული პერსონალი	ისტორიის მაგისტრი, თსუ
	მიხეილ შავთვალაძე	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მკვლევარი
	მელაშვილი თამთა	მოწვეული პერსონალი	გენდერის მაგისტრი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი.
	აბესაძე გურამ	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით:

- უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები
- თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი
- ელექტრონული ჟურნალები და ბაზები
- უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი
- ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის მიერ გადმოცემული 1500 დასახელების წიგნი

პროგრამის დამტკიცების აქტი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორთა 2011 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმი.

დანართი # 2.1: შედეგების რუკა

№	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ცოდნა და გაცნობიერება;**	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;**	**დასკვნის უნარი;**	**კომუნიკაციის უნარი;**	**სწავლის უნარი;**	**ღირებულებები.**
	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	X	X		X	X	X
	შედარებითი პოლიტიკა	X	X				
	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	X	X		X	X	
	საჯარო პოლიტიკა	X	X		X	X	
	მსოფლიო პოლიტიკა	X	X		X	X	
	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	X	X		X	X	

	მედია და პოლიტიკა	X	X		X	X	
	პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X			X	X
	პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	X	X			X	
	ქართული პოლიტიკური აზრი	X	X			X	
	დემოკრატიის თეორიები	X	X			X	X
	ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	X	X			X	X
	სამოქალაქო საზოგადოება - შედარებითი ანალიზი	X	X			X	X
	სოციალური მოძრაობების შესავალი	X	X				X
	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	X	X				
	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები	X	X		X	X	X
	პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული	X	X			X	X
	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	X	X			X	
	გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	X	X			X	
	გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები	X	X			X	
	არჩევნები და საზოგადოება	X	X			X	X
	პოლიტიკური კულტურა	X	X			X	X
	გენდერი და პოლიტიკა	X	X			X	X
	დემოკრატია და მოქალაქეობა	X	X				X
	პოლიტიკური კვლევის მეთოდები	X	X	X		X	X
	პოლიტიკური კვლევის ლაბორატორია – პოლიტიკური კვლევის მეთოდების პრაქტიკუმი	X	X	X	X	X	X
	პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები (კლასიკური ტექსტები)	X	X				
	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

დანართი # 2.2: პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **მიმართულება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **პოლიტიკის მეცნიერების**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: მ. მაცაბერიძე, ა. კუხიანიძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 25.06.2011 ოქმი #4
ცვლილებები შესულია: დადგენილება №30/2013, 18 თებერვალი, 2013 „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**	**ლექტორი/ლექტორები**	
			ლექცია	**სემინარი / პრაქტიკუმ**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება**	**დასკვნითი გამოცდის მომზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	შესავალი სოციალური კვლევის მეთოდებში	5	15	15	37	10+10	35	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ.ჯავახიშვილი, ლ.სურმანიძე, ლ.წულაძე,თ.აბაშიძ

												ე, შ.თურიქსვილი, ი.ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი, მ.კაკაჩია, ე.ფირცხალავა
	ინგლისური ენა 1	5							წინაპირობის გარეშე	✓		
	ინგლისური ენა 2										✓	
	სტატისტიკა 1	5	30	30	40	10	13	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
საფაკულტეტო (საბაზო) არჩევითი კურსები (მინიმუმ 1 საგანი)												
	ანთროპოლოგია	5	15	15	35	20	38	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ო. ფურთუხია
	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	78	5	9	3	წინაპირობის გარეშე			თ.დოლბაია
	აკადემიური წერა	5			30	52	20	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ხ. მარწყვიშვილი
	ლოგიკა	5	30	15	51	12	15	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. თომაშვლი
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები (პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასნელი მათ ეთველბათ მეცნიერების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში)												
	ფსიქოლოგიის შესავალი	5	15	15	69	8+8	8	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. ჩიტაშვილი
	შესავალი სოციალურ მუშაობაში	5	15	15	57	20	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	შ. თურქიაშვილი
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	61	6	10	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი.სალუქვაძე
	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ.მაცაბერიძე. ზ.აბაშიძე გ.ჟორჟოლიანი ს.დუნდუა
	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	65	15	12	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი.კაჭკაჭიშვილი ა.ბერძენიშვილი ლ.წულაძე
	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გ.ხელაშვილი
	ჟურნალისტიკისა მასობრივი კომუნიკაციის შესავლი	5	30	15	63	8	6	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. წერეთელი

პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი სასწავლო კურიკულუმი (120 კრედიტი): შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში: 5 კრედიტი პოლიტიკური მეცნიერების სავალდებულო სასწავლო კურსები – 75 კრედიტი (ECTS) საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი												
პოლიტიკის მეცნიერების სავალდებულო სასწავლო კურსები: 30 კრედიტი												
	შედარებითი პოლიტიკა	5	30	15	63	10	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გ. ჟორჟოლიანი, ვ. დოლიძე
	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მაცაბერიძე, ლ.თეთრაძე, ე.დარბაიძე
	საჯარო პოლიტიკა	5	30	15	62	6	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	✓	✓	ნ.მაჭარაშვილი, მ.გაბედავა თ.ნოზაძე
	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	5	30	15	58	10	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ს. დუნდუა
	პოლიტიკური კომუნიკაცია	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ.მაცაბერიძე გ.მელიქიძე ი.ჭუმბურიძე
	მსოფლიო პოლიტიკა	5	30	30	47	6	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კ.კაკაჩია, ა.წურწუმია
თემატური კონცენტრაცია: **პოლიტიკური თეორია**												
	პოლიტიკური იდეოლოგიები	5	15	30	56	12	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	✓		ს.დუნდუა თ.ქარაია
	პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	5	15	30	56	12	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში		✓	ზ.აბაშიძე
	ქართული პოლიტიკური აზრი	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.მაცაბერიძე მ.მანჩხაშვილი
	დემოკრატიის თეორიები	5	30	30	41	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ.ჟორჟოლიანი მ.წურწუმია

	დემოკრატიზაცია და ტრანზიცია	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ.ჟორჟოლიანი
	ნაციონალიზმის კვლევების საფუძვლები	5	30	15	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ზ.აბაშიძე დ.მაცაბერიძე ი.ჩხაიძე
	პოლიტიკური ანთროპოლოგია	5	15	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს.დუნდუა
თემატური კონცენტრაცია: **შედარებითი პოლიტიკა**												
	ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ზ.აბაშიძე ვ.დოლიძე
	სამოქალაქო საზოგადოება - შედარებითი ანალიზი	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ს.დუნდუა მ.წურწუმია
	სოციალური მოძრაობების შესავალი	5	15	15	74	7	11	3	წინაპირობის გარეშე	✓		კ.თურმანიძე მ.შავთვალაძე
	შედარებითი პარტიული პოლიტიკა და პარტიული სისტემები								შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, შედარებითი პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები			კ.კაკაჩია
თემატური კონცენტრაცია: **საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება**												
	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	5	15	15	74	7	11	3	წინაპირობის გარეშე		✓	კ.თურმანიძე ვ.დოლიძე ს.ლებანიძე
	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები	5	15	30	62	6	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, საჯარო პოლიტიკა	✓		ნ,მაჭარაშვილი მ.გაბედავა თ.ნოზაძე
	პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული	5	30	30	41	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ა.კუხიანიძე
თემატური კონცენტრაცია: **რეგიონების და ქვეყნების პოლიტიკა**												
	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	62	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ.მაცაბერიძე, თ.ქარაია
	გეოპოლიტიკა:წარსული და	5	30	30	41	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ა.წურწუმია

	თანამედროვეობა											
	გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები	30	30	47	6	9	3		წინაპირობის გარეშე		✓	კ.კაკაჩია
თემატური კონცენტრაცია: **პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები**												
	არჩევნები და საზოგადოება	5	15	30	62	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.მაცაბერიძე ვ.დოლიძე, ლ.თეთრაძე
	პოლიტიკური კულტურა	5	30	30	41	12	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ა.ტუკვაძე
	გენდერი და პოლიტიკა	5	15	30	58	10	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თ.მელაშვილი ე.წურწუმია
	მედია და პოლიტიკა	5	15	15	73	10	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ე. ბასილაია
	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	15	30	60	8	8	4	წინაპირობის გარეშე	✓		თ.ქარაია მ.შავთვალაძე
თემატური კონცენტრაცია: **მომზადება კვლევისთვის**												
	პოლიტიკური კვლევის მეთოდები	5	30	30	41	12	9	3	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	✓		ა.კუხიანიძე თ.ქარაია
	პოლიტიკური კვლევის ლაბორატორია-პოლიტიკური კვლევის მეთოდების პრაქტიკუმი	5	5	25	71	12	9	3	პოლიტიკური კვლევის მეთოდები		✓	ა.კუხიანიძე თ.ქარაია
	საბაკალავრო კვლევის დიზაინი	5	15	30	62	12	9	3			✓	ა.კუხიანიძე, ნ.მაჭარაშვილი, თ.ქარაია
	პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები (კლასიკური ტექსტები)	5	15	30	62	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ.მაცაბერიძე ე.გელაშვილი
საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (სავალდებულო)												
	საბაკალავრო ნაშრომი	10							პოლიტიკური კვლევის მეთოდები, საბაკალავრო კვლევის დიზაინი			

	სულ	240										

პროგრამისხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტისსასწავლოპროცესისმართვისსამსახურისუფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტისდეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსისხელმოწერა ——————————————————————

თარიღი——————————————————————————— ფაკულტეტისბეჭედი